საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მილექსება

მილექსება, ქართული ზეპირსიტყვიერების ტრადიციული ჟანრი. ფართოდ არის გავრცელებული ფშავში; გვხვდება აგრეთვე მთიულეთ-გუდამაყარში, ხევსურეთსა და ხევში. მ. იმართებოდა ხატობაში, ქორწილში ან მგზავრობის დროს, აგრეთვე მწყემსებს შორის. იგი შემოქმედებითი პაექრობაა ორ პირსა ან ჯგუფს შორის. მონაწილენი ერთმანეთს მიმართავენ ექსპრომტად თქმული სატირულ-იუმორისტული ლექსებით. მ. სიმღერითაც სრულდება.

ლიტ.: მ ა ხ ა უ რ ი ტ., ფშაური კაფია, თბ., 2018.

დ. გოგოჭური